ოქმი:**ო63. 6323310001**
თარიღი:**06/11/2023**

სამტრედიის მუნიციპალური

გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის

ო ქ მ ი N02

ქ. სამტრედია 01 ნოემბერი, 2023 წელი

2023 წლის 01 ნოემბერს, სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის, ნათია პაპავას ხელმძღვანელობით, ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა.

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

ნათია პაპავა, ვაჟა სტურუა, ტარიელ ცომაია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, თამილა კეკელიძე, სოფიკო ახობაძე, მაკა ხარებავა, ნინო შარაშენიძე, ლევან გაბეჩავა.

სხდომას ასევე ესწრებოდა: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი- ნორა იანიკოვი და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, იურიდიულ საკითხებში - ნატო ჯულაყიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შინაგანაწესში დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებების გათვალისწინების შესახებ

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - ნათია პაპავა /

2. სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - ნათია პაპავა /

3. ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში გასათვალისწინებელი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - ნათია პაპავა /

4. სხვადასხვა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (13 ხმით) დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ I საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა, ნათია პაპავამ, ისაუბრა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შინაგანაწესში დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებების გათვალისწინების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ" თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია სამუშაო ადგილზე პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად მიიღოს ზომები დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის მიზნით, მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს საჯარო დაწესებულების შინაგანაწესსა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (13 ხმით) მივმართოთ საკრებულოს თავმჯდომარეს, რათა საკრებულოს აპარატის შინაგანაწესში გათვალისწინებულ იქნეს, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ისაუბრა სამტრედიის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ.

დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებების შესაბამის სამართლებრივ აქტებში გატარების/გაწერის აუცილებლობა, გამოწვეულია იმით, რომ მოხდეს დისკრიმინაციის პრევენცია და ინფორმირებულობა.

აქედან გამომდინარე, სამტრედიის მუნიციპალური საბჭოს დებულებაში გათვალისწინებულ უნდა იქნას, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრის საქმიანობის ეთიკური საფუძვლები და დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (13 ხმით), საბჭოს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, შემუშავებულ იქნას პროექტი გენდერული თანასწორობის დებულებაში, ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ, მესამე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ისაუბრა, ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში გასათვალისწინებელი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ.

საბჭოს წევრმა, თამილა კეკელიძემ აღნიშნა, რომ ყოველი წლის 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით , მთელი მსოფლიო და მათ შორის საქართველო აღნიშნავს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ 16 დღიან კამპანიას. კამპანიის პერიოდში აღინიშნება: ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე (25 ნოემბერი), უფლებადამცველ ქალთა საერთაშორისო დღე (29 ნოემბერი), შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღე (1 დეკემბერი), მოხალისეთა საერთაშორისო დღე (5 დეკემბერი), მონრეალში მომხდარი ტრაგედიის ხსოვნის დღე (6 დეკემბერი) და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე (10 დეკემბერი).

ჩვენი მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად უერთდება აღნიშნულ კამპანიას სხვადასხვა ღონისძიებებით და აქტივობებით, მაგრამ სასურველია უფრო გავამრავალფეროვნოთ და კიდე უფრო მეტად საინტერესო და ინფორმაციული გავხადოთ ეს შეხვედრები.

საბჭოს თითოეულმა წევრმა დააფიქსირა თავისი მოსაზრება. ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კვირეულის ფარგლებში, მაქსიმალურად მოხდეს ახალგაზრდების ჩართულობა, გამომდინარე იქედან რომ სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ხშირია ბულინგის შემთხვევები.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (13 ხმით), საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, საბჭომ დეტალურად გაწეროს, ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კვირეულის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები და აქტივობები.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: თამილა კეკელიძე

ნათია პაპავა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალური გენდერული
თანასწორობის საბჭო-სამტრედიის მუნიციპალური
გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი